სკრიპტის გამოყენების ფუნქცია
აუტიზმის მქონე ბავშვებში

ავტორი: ნინო ჭანკოტაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

აბსტრაქტი

სკრიპტები ხშირად გვხვდება აუტიზმის მქონე ბავშვებზე დაკვირვებისას. მკვლევრები და სფეროს სპეციალისტები მსჯელობენ მის საკომუნიკაციო ფუნქციებზე, განიხილავენ როგორც პათოლოგიას, ან როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებას. ჩვენი კვლევა შეეხება სკრიპტების გამოყენებას თამაშის დროს. ნაშრომში აღწერილი იქნება სკრიპტის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფუნქცია კონკრეტულ კონტექსტში და განხილული იქნება ენობრივი განვითარების საფეხურის პერსპექტივიდან. კვლევის მეთოდი არის აღწერითი - მოხდა დაკვირვება თუ რა ფუნქციით იყენებენ სკრიპტებს უფროსით გაშუალებული თამაშის დროს აუტიზმის მქონე ბავშვები სხვადასხვა ენობრივ საფეხურზე. კვლევის მოსალოდნელი შედეგი გამართლდა, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში - სკრიპტის გამოყენების ფუნქცია განსხვავდება ენობრივი განვითარების საფეხურის მიხედვით და რაც უფრო განვითარებულ საფეხურზეა ბავშვი, უფრო უახლოვდება სკრიპტის ფუნქციურად, დანიშნულების მიხედვით გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: *სკრიპტი, კომუნიკაცია, ფუნქცია, ენობრივი განვითარება.*